პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 9 20 00410175

27/05/2020

ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადისთვის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლა და კვება“ განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ

დაწესებულების მიერ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადს“ (ს/კ: 217890192) უარი ეთქვას განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლა და კვება /00470.
2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 27 მაისის № 409490 ოქმის მეოთხე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ტალიაშვილი ნინო